ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 8-19101182531948-17

"10." 12. 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სოფელ დილომში (საკ. კოდი №01.72.14.035.724) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3016163 24.12.2016წ.

ქ. თბილისში, სოფელ დილომში (საკ. კოდი №01.72.14.035.724) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ნაწილობრივ შეცვლილია და დასასრულებელია ტერიტორიის კეთილმოწყობა. ნაწილობრივ +0.00 ნიშნულს ქვევით ფასადები შესაღებია. აივნის ძირების ნაწილი მოსაპირკეთებელია. დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. ტერიტორიაზე "ა-ბ" და "1-2" მონაკვეთებში კიბის ქვევით მოწყობილია კარი და სათავსო. შენობის კონტურზე ნაწილობრივ შემცირებულია კედლების სისქე. ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების და კარ-ფანჯრების ნახატები. ნაწილობრივ კონდენციონერებს და გამათბობლის ქავაბებს მონაცვლებული აქვს საპროექტრო ადგილი, ასევე დამატებით მოწყობილია კონდენციონერები. შეცვლილია პანდუსის ფორმა და გაზრდილია დახრის პროცენტული მაჩვენებელი. -3.30 ნიშნულზე ფასადებზე ღიობებში გაუქმებულია ცხაურები და მათ ნაცვლად ფიქსირდება ლითონის ნაშვერები. პანდუსთან "ბ-გ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია წყალმიმღები არხი ლითონის ცხაურით. "2-3" და "გ-ე" მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია რიგელი. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების კვეთი. ნაწილობრივ შეცვლილია სადარბაზოების ფორმა და გაბარიტები, ასევე ნაწილობრივ დასასრულებელია მათი კეთილმოწყობა. ნაწილობრივ აივნებზე გაზრდილია კაპიტალური კედლების სიგრძე. პროექტში მონოლითური და კაპიტალური კედლები არ არის განსხვავებული დაფერვით ნაჩვენები.

"1-4" ფასადი: "2-4" მონაკვეთში შეცვლილია გრუნტის ზედაპირის ნიშნული. +0.00 ნიშნულს ქვევით "2-4" მონაკვეთში ფასადი მოპირკეთებულია ფილით. -3.30 ნიშნულზე "1-2" მონაკვეთში ღიობი შეფიცრულია. ±0.00 ნიშნულზე "2" ღერძთან გაუქმებულია კარი.

"ა-თ" ფასადი: "ა" ღერძის გარეთ აივნებზე კაპიტალურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები. ნაწილობრივ "დ-ე" მონაკვეთში აივნებზე დამატებით მოწყობილია ღიობები, ხოლო მათი ნაწილის ირგვლივ ფასადები შესაღებია, ამავე მონაკვეთში +36.30 ნიშნულზე ფასადი შესალესი და შესაღებია. "დ-ე" მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრების გაბარიტები და მდებარეობა. +26.40 ნიშნულზე "ა-ბ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გაშწოვი მილი. +36.30 ნიშნულზე "ზ" ღერძთან დამატებით მოწყობილია სატელევიზიო ანტენა.

-3.30 ნიშნულზე: სართულიდან გასატანია საშენებლო ნარჩენები. "2" ღერძზე "ზ-თ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედელი. "1-2" და "ბ-გ" მონაკვეთებში გაუქმებულია რიგელი. კიბის უჯრედთან კედლების ნაწილი გაუქმებულია, რის გამოც გაუქმდა ტამბური, ასევე კიბის უჯრედში კიბის ქვეით მოწყობილია სათავსო. "3" ღერძზე "დ-ზ" მონაკვეთი შევსებულია მსუბუქი ტიხრით. "1" ღერძზე "ა-დ" მონაკვეთში არ არის მოწყობილი კედელი.

±0.00 ნიშნულზე: "დ" ღერძზე "3-4" მონაკვეთში კედლის ნაწილს მონაცვლებული აქვს ადგილი "ე" ღერძისკენ. "ზ-თ" მონაკვეთში შემცირებულია კიბის სიგანე. "დ-თ" და "3-4"

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

მონაკვეთებში კიბის საფეხურებზე და ტერასაზე გაუქმებულია ფილით მოპირკეთება. "ა" და "2" ღერძების კვეთასთან გაუქმებულია შშმ პირთათვის განკუთვნილი ლიფტი.

+36.30 ნიშნულზე: ბინებში გაუქმებულია კიბეები, ასევე სართულშუა გადახურვის ფილაში გაუქმებულია ღიობები. გაზრდილია სართულის სიმაღლე (2.38 მეტრის ნაცვლად შეადგენს 2.80 მეტრს) და გაუქმებულია ბეტონის გადახურვა.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ახალი სახლი"-ს, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.035.724) მდებარე შშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01182531948-17 10.09.2018წ. განცხადება.
№წ-19/01182531948-17 11.09.2018წ. ბრძანება.

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეკაძე